საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 22 00945979

11/04/2022

ქალბატონ ნატალიას
ელფოსტა: foi+request-502-08cefbda@askgov.ge

ქალბატონო ნატალია,

მიმდინარე წლის 31 მარტის № 833383 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს და შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის სამსახურებს გადასცემს, გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი რესურსის განსასაზღვრად.

გაცნობებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

განგიმარტავთ, რომ შესაძლო ნარკოტიკული ზედოზირების ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებები, ერთიანდება ინციდენტის ტიპის ქვეშ: „**კომა ნარკოტიკული/დაუზუსტებელი**“.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში, 2015 წლიდან 2022 წლის 29 მარტის ჩათვლით, ინციდენტის ტიპით **„კომა ნარკოტიკული/დაუზუსტებელი“** დარეგისტრირდა **2626** შეტყობინება.

აქვე მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 18 თებერვლამდე რეგიონებიდან შემოსულ შეტყობინებებზე შექმნილ საქმეებში არ ხდებოდა შემთხვევის შესაბამისი ინციდენტის ტიპის არჩევა და მოწოდებული ინფორმაცია ფიქსირდებოდა მხოლოდ საქმის კომენტარებისთვის გამოყოფილ ტექსტურ ველში („შენიშვნის ველი“), არაშაბლონურად. ამიტომ, 2016 წლის 18 თებერვლამდე, მონაცემების ამოღება მოხდა სიტყვათა სხვადასხვა კომბინაციის შერჩევით, რაც შესაბამისად ვერ ასახავდა ზუსტ მონაცემს. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ თარიღამდე მოწოდებული სტატისტიკა არის რეალურთან მიახლოებული, მაგრამ არა ზუსტი.

0186, თბილისი, საქართველო, ლიხის ქ.№1 | 1a, Lisi str., Tbilisi, 0186, GEORGIA
ტელ/TEL: (+995 32) 241 96 77; WWW.112.GOV.GE; E-MAIL: 112info@112.ge

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**